სამშაბათი, 6 მარტი 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 49

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა. დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

**კნ. ბარბარე სპირიდონის ასული და თავ. სპირიდონ (გუგული) სერგეის ძე წერეთელნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ მეუღლის, მეორე—დაუვიწყარ მამის

## თავ. სერგეი გრიგოლის ძის წერეთლისას.

პანაშვიდი 6 მარტს, ორ საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში; პანაშვიდის შემდეგ ცხედარს გაასვენებენ სადგურზე, იქიდან—დაბა საჩხერეში. დაკრძალვა 8 მარტს საჩხერეში. (1—573—1)

**კნ. მატრონა ბეჟანის ასული და ეკატერინე, როსტომ, ამირინდო და ფრიდონა გრიგორის ასული და ძენი წერეთელნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას შვილის, დანარჩენნი—ძმის

## თავ. სერგეი გრიგორის ძის წერეთლისას.

პანაშვიდი 6 მარტს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საიდანაც მიცვალებული წასვენებული იქნება სადგურზე, ხოლო იქიდან—საჩხერეში. დაკრძალვა 8 მარტს. (1—573—1)

**დავით და კოწია ნიკოს ძენი და მარიამ ნიკოს ასული თოფურიძეები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელ მამის ტიტულიარნი სოვეტნიკის

## ნიკო დავითის ძის თოფურიძისას.

გამოთხოვება და დასაფლავება დანიშნულია 6 მარტისთვის, დილის 10 საათზედ, სოფ. აბაშას. (1—ფოს.—1)

**ვერა რომანოზის ასული და სოფრომ გაბრიელის ძე ტარიელოვები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრივ გარდაცვალებას: პირველი—დაუვიწყარ დიდის, ხოლო მეორე—სიდედრის **ქვრივის**

## ელისაბედ სოლომონის ასულის ზაზანოვისას.

წირვა და პანაშვიდი ოთხშაბათს, 7 მარტს, დიდუბის ეკლესიაში. გასვენება ამ ეკლესიიდან და დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ამავე დღეს. (2—6.—1)

**მღვდელი ნიკოლოოზ ივანეს ძე წერეთელი და შვილები მისი მღვდელი იოსებ და ექიმი სოლომონ** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—ძვირფას მეუღლის, ხოლო უკანასკნელნი—დედის

## ნატალია გედევანის ასულისას.

დაკრძალვა მოხდა 2 მარტს. (1—ფოს.—1)

**ნიკოლოოზ დავითის ძე ჯაბიძე** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას დაუვიწყარ მეუღლის

## ნატალია მაქსიმეს ასულის ჯაბიძისას.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს შვიდ საათზე ვეძინის ქუჩაზე, მილინოვის სახლში, № 8. გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს დილის ათ საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, საიდანაც წირვის შემდეგ დასაკრძალავად წაასვენებენ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (2—6.—1)

**თავ. კონსტანტინე ნიკოლოოზის ძე და კნ. ელენე იასონის ასული აფხაზნი და ელისაბედ გრიგოლის ასული საგინაშვილისა** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

## თ. ნიკოლოზ შერმაზანის ძის აფხაზისას.

პანაშვიდი 6 მარტს, საღამოს 7 საათზე, ნიკოლოოზის ქუჩა № 7, სახლი საგინაშვილისა). გამოსვენება 7 მარტს, დილის 10 საათზე, წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში (ჩუღურეთში), სადაც გარდახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი. დაკრძალვა ამავე დღეს კუკიის წმ. ნინოს მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. (2—579—1)

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოების

## საბჭო

იწვევს წევრების საზოგადო წლიურ კრებას 20 მარტისათვის ჭიათურის თეატრში; განსახილველი საგნები:

1) 1906 წლის წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება,
2) 1907 წლის ხარჯთ-აღრიცხვა,
3) მოხსენებები: საბჭოსი და სარევიზიო კომისიისა,
4) არჩევნები: გამგეობის ერთის წევრისა, საბჭოს სამის წევრისა და სარევიზიო კომისიის წევრთა. (3—6. ჭი.—1)

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, ?—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა. № 25. (0—50)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**განიზა და ვენერიული** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

კბილის ექიმი
**ი. ზ. ძანდელაკი**
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. იღებს დილის 9—2 ს. და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპექტი, სახლი აბუილაძისა, № 26. (25—6.—22)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინკაში ასისტენტად ? მყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 11—1 ს. და საღ. 4—6. ვერა, ოლღას ქუჩ. № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—732—19)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—59)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა
**ტფილისში**
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).
მიდება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა
**მიხეილ ავალიანისა**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სნეულისი.
**ი. ნ. ეგიაზაროვი**: 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.
**გ. ა. ფალავანდოვი**: 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.
**ი. გ. პავლენკოვი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.
**მ. პ. კამონჯი**: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.
**პ. ა. პეიერი**: 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.
**ი. ნ. თუმანოვი**: 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—35)

◆ლაკტო-ბაცილიანი რძე◆
მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ
## ა. ს. ალექსანიანის
ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ტელეფონი № 389. (100—51—86)

**გამოვიდა ახალი წიგნი:**
## ჩემის დღიურიდან
ნიკო მოსკოველ-ოდიშელისა.
ფასი 15 კაპ. იყიდება წიგნის მაღაზიებში: 1) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა—ტფილისში, 2) „კოლხიდისა“—ქუთაისში, 3) „ჭოროხისა“ და კილაძისა და თავართქილაძისა ბათუმში; 4) ფოთში, 5) ოზურგეთში. უმთავრესი საწყობი—ახალსენაკში, წიგნის მაღაზიაში „სინათლე“. (3—1)

## ქ. ქუთაისში
რკინის გზის სადგურის პირდაპირ ძმ. ჩარექოვების ადგილში 11 მარტს, დილის 10 საათიდან **გაიყიდება ნაწილ-ნაწილად მიწა**; ადგილი მაღლობზეა, ტყიბულის რკინის გზის შტოს გვერდზე; იქვეა ქა. (5—6.—2)

**მეჩექმეთა ამხანაგობამ**
## „ნდობამ“
დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **სახელოსნო განყოფილება**, სადაც მოიპოვება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაც სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და შკოლების საიჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ რომ ყოველ აღებულ საქმეს პირნათლად გაუძლვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბუღდანოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.
გამგე ამხანაგობისა **ს. ბერძნიშვილი.** (20—569—3)

**საჭიროა გამოცდილი**
## ფერშალი
სოფელ მამათში (გურიაში)
პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება სიმონ კილაძესთან, იასონ კილაძესთან და ლუკა ფრანგულაიშვილთან. ფოსტის ადრესი: **Мест. Ланчхуты, Николаю Киладзе, для поредачи Семену Киладзе.** (2—572—2)

ტფილისი, 6 მარტი.

ქვემოდ მკითხველი იპოვის რამდენსამე ცნობას სათათბიროს შესახებ, რომელიც ცხადად გვიჩვენებს მთავრობის განწყობილებას და დამოკიდებულებას სახალხო წარმომადგენლობასთან. ეტყობა, თუმცა მთავრობას პრინციპიალური გადაწყვეტილება უკვე მიუღია სათათბიროს გარეკის შესახებ და ყოყმანობს მხოლოდ იმიტომ, რომ საბუთი არა აქვს ჯერ ხელში ისეთი, რომელმაც უნდა გაამართლოს მისი მოქმედება ევროპ-ს თვალში. ეს ცხადათ მტკიცდება სამინისტროს ოფიციალურ და ოფიციოზურ გაზეთების მიერ დაწყებულ უსინიდისო კამპანიით სთათბიროს წინაღმდეგ. პირველ დღეებში ეს გაზეთები ფრიად ლმობიერად ეპყრობოდნენ სათათბიროს; თუმცა ის ოპოზიციონური არისო, მაგრამ საქმის გაკეთება უნდა და არა ყვირილი და დემონსტრაციებით და ამიტომ შესაძლებელია ეს მეორე სათათბირო უფრო ნაყოფიერი და ხანგრძლივი იქნას, ვიდრე პირველიო. მაგრამ, ერთ კვირასაც არ გაუვლია, გაზეთებმა ფრონტი იცვალეს და ყოვლად შეუწყნარებელის კილოთი და სოაცარის მრისხანებით იწყეს სახალხო წარმომადგენლობის დევნა. რეპტილიები გულმოდგინეთ ასრულებენ ზევიდან მიღებულ ბრძანებას და ლაძღვაგინებით იკლებენ სათათბიროს. ამავე დროს ოფიციალური სააგენტოც ცდილობს: აზვიადებს ცნობებს მკვლელობათა და ექსპროპრიაციების შესახებ, აგრარულ „უწესოებათა“ შესახებ; ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტრო საჯაროდ აცხადებს ცირკულიარს, რომლითაც აღნიშნავს, სათათბიროს მოწვევის შემდეგ უწესოება იმატა და გაძლიერდაო. ერთის სიტყვით, პროვოკაცია ფართოდ სწარმოებს და დაინტერესებული მხარე ნიადაგს ამზადებს.

ერთი გარემოებაა მხოლოდ, რომელიც უძნელებს საქმეს მთავრობას: ეს შინია, რომ ფულს ვერ იშოვის უსათათბიროდ და თუ ამ მხრით გაიმაგრა ზურგი, ერთ დღესაც არ მოუთმენს დღევანდელ სათათბიროს. „რუსსკ. ვედომ.“-ს გაუგია, ვითომ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოს საიდუმლოთ უცნობებია რუსეთის მთავრობისათვის, სათათბიროს დათხოვნა ახლა მეტად მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენს მთელ ევროპაზე და განსაკუთრებით ბირჟაზეო. თუ ეს მართალია, მთავრობა ვერ გაბედავს ადვილად საქმის გადაწყვეტას; მაგრამ ევროპის ბირჟა ხარბია და ვინ იცის, როგორ გადაუბრუნდება გული, თუ „კარგი პირობები“ შეაძლიეს...

ძნელი წარმოსადგენია რა მოჰყვება ეხლა სათათბიროს დათხოვნას. მთავრობა, ალბათ გააორკეცებს რეპრესიებს და კრიზისი კიდევ უფრო გაძნელდება. რა-კი ხალხი არაა მზად საერთო გამოსვლისათვის, გაძლიერდება ეგრედ წოდებული პარტიზანული ბრძოლა და სახელმწიფო სულ აირევ-დაირევა. შეურაცყოფილი და დატანჯული ხალხი შურის-ძიების გულისთქმას აჰყვება; ხოლო მთავრობა, რომლის ერთად-ერთი ძალა ჯარი და პოლიცია არის, არაფერს დაზოგავს განმათავისუფლებელ მოძრაობის შესაჩერებლად. ასეთ პირობებში ვერც რევოლიუცია მოხდება, ვერც რეფორმები და იქნება ისეთი გაძნელებული და არეული ცხოვრება, რომლის მაგალითი უკანასკნელმა წელიწადმა გვიჩვენა: შავრაზმელთა თარეში, ადმინისტრაციის თავაშვებული რეპრესიული პოლიტიკა, სამხედრო-საველე სასამართლოები, უაზროდ ადამიანთა ჟლეტა და სხვა და სხვა.

სრული პასუხის გება ქვეყნისა და ისტორიის წინაშე ახლანდელმა მთავრობამ უნდა მიიღოს, რადგან ოპოზიციონური და რევოლიუციონური სათათბირო მზად იყო მშვიდობიანის გზით ეცადნა კრიზისის შემსუბუქება. ხალხის წარმომადგენლებმა თავი შეიკავეს, გულში ჩაიკლეს სამართლიანი რისხვა და წყრომა იმათდმი, ვინც ასე შელახა და შეურაცჰყო ხალხის მისწრაფება სინათლისა და სიმართლისაკენ; განრისხებული სახალხო წარმომადგენლობა დამშვიდდა და, მიუხედავად მძულვარებისა, რომლით გამსჭვალულია რეაქციონურ მთავრობისადმი, აპირებდა საკანონმდებლო მოღვაწეობას. და თუ ეხლაც მთავრობამ გარეკა სათათბირო, მთელმა ხალხმა უნდა შეიგნოს და საბოლოოდაც შეიგნებს, რომ თვითმპყრობელ ბიუროკრატიას არა ჰსურს არავითარი რეფორმა, არავითარი განახლება რუსეთისა. მაშინ საბოლოოდ დახშობილ იქნება გზა „მშვიდობიანის განახლებისა“ და განმათავისუფლებელი მოძრაობა იძულებული იქნება სხვა კალაპოტში ჩადგეს.

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**პეტერბურგი.** სათათბიროს დარბაზი, სადაც ჭერი ჩამოინგრა, საცოდავ სანახაობას წარმოადგენს. ჩამოინგრა თითქმის სამი მეოთხედი ჭერისა. ნანგრევები დაეცა მემარცხენეთა და ცენტრის ადგილებს. მემარჯვენეთა ადგილების ერთი ნაწილიც მოჰყვა ნანგრევებს ქვეშ. სამასამდე სკამი მილეწ-მოლეწილია. ეს ამბავი კრების დროს რომ მომხდარიყო, დაიღუპებოდა სულ ცოტა ორასი დეპუტატი მაინც. ბევრმა დეპუტატმა თავისი ქაღალდები ნანგრევებში იპოვნა ამ საქმის გამოძიება დაევალა ოლქის პროკურორს; ექსპერტიბად მიიწვიეს არქიტექტორები. კომისიის აზრით, ჭერის ჩამონგრევის მიზეზი დარბაზის გახურება და ვენტილაციაა. წინად ეს დარბაზი საზამთრო ბალად იყო დანიშნული და არასოდეს არ გაუხურებიათ. შარშან, როდესაც პირველი სათათბირო მოიწვიეს, კრებები ზაფხულში მოხდა და დარბაზი არც მაშინ გახურებულა. ეხლა გაახურეს და ფიქრობენ, რომ სიცხისაგან ხის ფიცრებმა და სხვა მასალამ სახე იცვალა, რამაც გამოიწვია შტუკატურკის ჩამონგრევა.

სამ მარტს, ნაშუადღევის სამ საათზე მუშები შეუდგნენ დარბაზის გაწმენდას ნანგრევებისაგან. ზოგიერთი სკამები დეპუტატებისა ნაფოტებად არის ნაქცევი. უფრო დაზიანდა მემარჯვენეთა ძირითა ადგილები, ცენტრის ზევითა ადგილები და მემარცხენეთა როგორც ძირითა, ისე ზევითა ადგილები. ნანგრევები დაეცა ტრიბუნასაც, თავმჯდომარისა და მდივნების ადგილებსაც; არ ასცდა ნანგრევებს აგრეთვე მინისტრების და სახელმწიფო საბჭოს ლოჟები და სტენოგრაფისტების ადგილები.

ორ მარტს დილის 11 საათსა და 33 წუთზე სათათბიროს სხდომა დაიწყო იმავე ტავრიდის სასახლის ეკატერინეს დარბაზში. დეპუტატები სკამებზე ისხდნენ. პარტიები ერთმანეთში იყვნენ არეულნი. ვიწროობა და ჭყლეტა იყო. სხდომას უნდა განეხილა: 1. არჩევნების შემამოწმებელ კომისიების მოხსენება; 2. მინისტრ-პრეზიდენტის განცხადება და 3. მიმდინარე საქმეები. სხდომის დაწყებისავე შუა დარბაზიდან მოისმა, რომ არაფერი არ გვესმისო. ბევრი კამათი აღარა ყოფილა.

ჩერნოსვიტოვმა კადეტების სახელით წინადადება შეიტანა, რაკი ასეთ პირობებში სხდომები შეუძლებელია, შევწყვიტოთ სხდომა და ავირჩიოთ კომისია ჭერის ჩამონგრევის მიზეზის გამოსაკვლევადაო.

შეიტანეს ასეთი წინადადება: რადგან შეიძლება უბედურება კიდევ მოხდეს, არჩეულ იქმნას კომისია და კრება შესწყდეს.

დოლგორუკოვი მაგიდაზე ავიდა და იქიდან სთქვა: „უანგარიშო ფული დაიხარჯა ჭერი მაინც მკვიდრი არ გამოდგა. შეიძლება ესეც ერთგვარ ანგარიშში შედიოდა, თუმცა ასეთი ანგარიში მეტად მკაცრია. გამოძიებაში სათათბიროს წევ-

რებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა. პრეზიდიუმმა სასახლის მინისტრს უნდა განუცხადოს, რომ სათათბიროს შესაფერი სახლი მოუძებნონ. ჩვენ უნდა უზრუნველ ვყოთ ჩვენი სიცოცხლე".

ივაშჩენკომ მხარი დაუჭირა დოლგორუკოვის წინადადებას.

ალექსინსკიმ სთქვა: „მე სრულებით არ გამკვირვებია, რომ ჩამოინგრა იმ სახლის ჭერი, სადაც ხალხის წარმომადგენლები არიან თავ-მოყრილნი. ძლიერ მაგარი ჭერი აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს და პოლიციის დეპარტამენტის სადგომებს.

მემარჯვენენი ყვირიან: „შორს, დაიკარგე!" ტაშის ცემაა. თავმჯდომარე სთხოვს წეს-რიგი დაიცვან და მსჯელობა იქონიონ იმაზე, გაგრძელდეს სხდომა თუ არა. კრუპენსკი წინააღმდეგია ინსინუაციებისა და მიკიბ-მოკიბულ ლაპარაკისა. თავმჯდომარემ გამოაცხადა 20 წევრის წინადადება—ამ საქმის თაობაზე კამათის შეწყვეტის შესახებ. ერთხმად დაადგინეს, შესწყვიტონ კამათი. თავმჯდომარემ პირველ კითხვად დააყენა: „სხდომა გადავდოთ თუ არა?" ერთხმად გადასდვეს. მეორე—„დაევალოს პრეზიდიუმს მოსძებნოს შესაფერი სახლი და დაინიშნოს კომისია მიზეზის გამოსარკვევად". ესეც ერთხმად მიიღეს. სხდომა დაიხურა 12 საათსა და 15 წუთზე. სხდომაზე დაესწრნენ მინისტრები სტოლიპინი, შვანებახი, კაუფმანი, შეგლოვიტოვი, შაუფუსი და იზვოლსკი. სხდომის შემდეგ სტოლიპინი და გოლოვინი მოსალაპარაკებლად წავიდნენ. პარაკლისი არ გადაუხდიათ.

სათათბიროს კომისიაც მთავრობის კომისიის აზრს ემხრობა და ჭერის ჩამონგრევის მიზეზად ტემპერატურის სხვა და სხვაობას ასახელებს. ამ კომისიამ საშიშოდ სცნო მხოლოდ ტავრიდის სასახლე და კერძოდ ეკატერინეს დარბაზი, სადაც ცოტა ხნით სხდომა მოხდა. სათათბიროს ამ კომისიამ მცირე კომისია არჩია და დაავალა, დაიბაროს და ჩვენება ჩამოართვას შენობის გამგეებს და აგრეთვე იმათ, ვინც განაცხადეს ჭერის უვარგისობა. დაადგინა აგრეთვე, მოითხოვოს ანგარიშები სასახლის შეკეთების შესახებ დაწყებული 1895 წლიდან მეორე სათათბიროს მოწვევამდე.

სათათბიროსავე კომისიამ დროებით სადგომის მოსაძებნად 3 მარტს დაათვალიერა მიხაილოვსკის და მარიინსკის თეატრები, ტენიშევის სასწავლებელი, თავად-აზნაურთა საკრებულო და სახალხო სახლი. რადგან ტავრიდის სასახლის შეკეთებას ორი-სამი კვირა მოუნდება, კომისიამ დაადგინა, სთხოვოს სათათბიროს თავმჯდომარეს, მოლაპარაკება გამართოს სახალხო სახლის დათმობის შესახებ. თუ თანხმობა იქნება, სათათბიროს შემდეგი სხდომა გაიმართება 7 ან 8 მარტს.

3 მარტს სასამართლოს მოხელეებმა და ექსპერტებმა დაამთავრეს ტავრიდის სასახლის დათვალიერება. გამოირკვა შემდეგი: ჩამონგრეულია ჭერის 70 ოთხკუთხი საჟენი. შუა ადგილას ჩამონგრეული ნაწილი სიგანით ექვსი საჟენია, სიგრძით—ათი; მარცხენა ნაწილი—3 საჟენი სიგანით და სიგრძით; მარჯვენა ნაწილი—3 საჟენი სიგრძით და ერთი სიგანით. ჩამონგრეულ შტუკატურკის სისქე $22^{1}/_{8}$ დიუმია. ხის მასალა კარგად შენახულა და მკვიდრია. სახურავი არ დაზიანებულა და არსად ეტყობა, რომ წვიმა ჩასულიყოს. ფიცრები ხმელია, სიდამპლე არ ემჩნევა. ძველ ლურსმებს შორის აქა-იქ ახლებიც არის. 115 საჟენის მანძილზე თერთმეტი ახალი ლურსმანია. დაცემის დროს შტუკატურკა არ დაშლილა. ზევით აამოძრავეს სავენტილაციო დინამო-მაშინები. თუმცა მაშინები ძალზე აამოძრავეს, მაგრამ იმ ადგილას, სადაც შტუკატურკა ჩამოინგრა, მაშინების მოქმედება არ ეტყობოდა, ეს ადგილი სულ არ ინძრეოდა. დათვალიერების დროს შეამჩნიეს, რომ ჩარდახის იატაკი დახრილა. დახრილი აღმოჩნდა აგრეთვე ეკატერინეს დარბაზის იატაკი, რის გამო ეს დარბაზიც საშიშრად იცნეს. ექსპერტებს თავიანთი საბოლოო აზრი ჯერ არ უთქვამთ.

მოხდა სხდომა კადეტთა აგრარულ კომისიის ბიუროსი კუტლერის თავმჯდომარეობით. განიხილეს აგრარულ კანონპროექტის ძირითადი საფუძველი. ფორმით შარშან შეტანილ პროექტსა ჰგავს, მხოლოდ ის განსხვავება აქვს, რომ მთელ რუსეთში ერთნაირად არ უნდა მოხდეს აგრარული საკითხის გადაწყვეტა, როგორც შარშანდელში იყო, არამედ აგრარულ საკითხის გადაწყვეტა ადგილობრივ პირობებს უნდა შეუფარდდეს.

3 მარტს კადეტების, შრომის ჯგუფის, სახალხო სოციალისტების, ს.-დემოკრატების და ს.-რევოლიუციონერების ინფორმაციულ ბიუროს კრება მოხდა. კრებამ დაადგინა: 1. სათათბიროს სხდომები გაგრძელდეს კერძო სახლში, თუნდაც ყოველ მხრივ მოხერხებული არ იყოს ეს სახლი; 2. პრემიერის დეკლარაციის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას არ გადაუხვიონ, ე. ი. სახალხო-სოციალისტები და ს.-დემოკრატები დეკლარაციას პასუხს გასცემენ, დანარჩენები ჩუმად ისხდებიან. მორიგ კითხვებზე გადასვლის შესახებ არაფერი არ გადაუწყვეტიათ.

კადეტების საკანონმდებლო კომისიას ტესლენკოს თავმჯდომარეობით კრება ჰქონდა. დაადგინეს: კომისიის წევრებად ითვლებიან ცენტრალურ კომიტეტის ყველა წევრები და პარტიის ყველა საკანონმდებლო კომიტეტების თავმჯდომარეები.

კადეტთა საბიუჯეტო კომისიამ განიხილა ფინანსთა მინისტრის მოხსენება სახელმწიფო შემოსავლის აწერილობის შესახებ. ხმები გაიყო. გადასწყვიტეს საკითხი მცირე კომისიას გადასცენ.

ფინანსთა მინისტრმა გოლოვინს შეატყობინა: მე დაბრკოლებას არა ვხედავ, რომ დროებით სათათბიროს სხდომები სახალხო სახლში გაიმართოს, მხოლოდ საჭიროა საზოგადოების სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარის პრინცის ოლდენბურგელის ნებართვაო.

კაზაკების ფრაქცია საბოლოოდ მოეწყო. სულ ფრაქციაში 18 კაზაკი დეპუტატია. იმათგან 13 კადეტია, 2 მათი თანამოაზრე, 1 სახ.-სოციალისტი, 1 დემოკრატიულ რეფორმის პარტიისა და 1 მემარჯვენე.

სამშენებლო კომისიის დადგენილებით სახ. სათათბიროს შენობა 8 მარტისთვის უნდა შეკეთდეს. დღე და ღამე მორიგეობით მუშაობს სამას-სამასი საპირი.

ტომსკის გუბერნიაში არჩევნები მოხდება 9 მაისს, ანისეის გუბერნიაში 14 მარტს, ირკუტსკის გუბ. 5 აპრილს, იაკუტსკის ოლქში 15 ივლისს; ზაბაიკალის ოლქში 7 აპრილს; სემირეჩინის ოლქში 3 აპრილს.

(გაზეთებიდან)

**მთავრობა და სათათბირო.** მთავრობა დასცინის სათათბიროს და ყოველ ნაბიჯზე უზრდელად და უპატივცემულოდ ეპყრობა: პრესსის წარმომადგენლებს არ აკარებენ დეპუტატებს—ცუდი გავლენა არ იქონიონ; ტავრიდის სასახლე სავსეა საიდუმლო პოლიციის აგენტებით—დეპუტატებს თვალყური უნდა ადევნონ და ყველაფერი პოლიციის დეპარტამენტს შეატყობინონ. ეს კიდევ ცოტაა: ბარონ ოსტენ-საკენმა, ტავრიდის სასახლის პოლიციის უფროსმა, გაჩხრიკა ის ოთახი, სადაც სოც.-რევოლიუციონერების ფრაქციის ბინაა. არაფრად აგდებენ სათათბიროს თავმჯდომარეს, რომელიც უნდა იყოს ნამდვილი განმკარგულებელი ტავრიდის სასახლეში—სტოლიპინი საყვედურს უცხადებს ოსტენ-საკენს გოლოვინის ზოგ განკარგულების ასრულებისათვის. ერთის სიტყვით, სტოლიპინის სამინისტრო აქაც თავისებურ პროვოკაციას ეწევა, ამცირებს ხალხის წარმომადგენლებს, ფეხით სთელავს მათ ღირსებას, რომ სკანდალი გამოიწვიოს და სათათბიროს დათხოვნა გაიადვილოს.

**სათათბიროს დათხოვნა.** როგორც სჩანს, ეს პროვოკაცია მიზანს ვერ აღწევს, დეპუტატები ყველაფერს ითმენენ, რომ მათ არ მოახვიონ სათათბიროს დათხოვნის მიზეზი. მაგრამ, თუ გაზეთების ცნობას დაეჯერება, მთავრობას სათათბიროს ბედი უამისოდაც გადაწყვეტილი აქვს. ბერლინიდან დეპეშით ატყობინებენ „რ. ვედომოსტ"-ს: „ფოს. ცაიტუნგ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იტყობინება სარწმუნო წყაროდან—მთავრობას გადაწყვეტილი აქვს დაითხოვოს სათათბირო დაახლოვებით ათის დღის შემდეგ (8—10 მარტს); მიზეზად მოჰყავთ რეაქციონერების პროვოკაცია და ებრაელების საკითხი". უკვე ბრძანება უნდა იყოს გაცემული ჯარების ნაწილობრივ მობილიზაციის შესახებ, რადგან საგანგებო ამბებია მოსალოდნელიო.

გაზეთი „ნოვი ლუჩ"-ი სწერს: სარწმუნო წყაროდან შევიტყეთ, რომ მთავრობას საბოლოოდ გადაწყვეტილი აქვს სათათბიროს დათხოვნა, მემარცხენეებმაც რომ არავითარი საბუთი არ მისცენო.

25 თებერვალს დიდი თათბირი ყოფილა მაღალ სფერის წარმომადგენლებისა გურკოს მეთაურობით და რუს პატრიოტების მონაწილეობით. თათბირის საგანი სათათბიროს დათხოვნა იყო და ერთხმად დაუდგენიათ—აუცილებელია რაც შეიძლება მალე გაირეკოს ეხლანდელი სათათბირო, რადგან მოღალატეებისაგან შესდგებაო. საქმის დასაჩქარებლად გადაწყვეტილია გამართონ პატრიოტული დემონსტრაციები ყველგან და [illegible] მხრიდან მოითხოვონ რევოლიუციონერ სათათბიროს გარეკა.

**სათათბიროს [illegible]პა.** თუ იხილის ეხლანდელი სათათბიროს ისევ ევროპ[illegible] თხულობთ: ხმები სათათბიროს დათხოვნის შესახებ საზღვარგარედ გავრცელდა და ამის გამო ზოგ მეგობარ სახელმწიფოს მთავრობამ დაუფარავად შეატყობინეს რუსეთის მთავრობას თავისი აზრი: სათათბიროს დათხოვნა მეტად მძიმე შთაბეჭდილებას მოახდენს ევროპაში; უცხოელი სახელმწიფოები არ ერევიან რუსეთის შინაურ საქმეებში, მაგრამ ისინი, განსაკუთრებით საფრანგეთის რესპუბლიკა, დარწმუნებული არიან, რომ კონსტიტუციის წინააღმდეგი მოქმედება უკურნებელ ზიანს მიაყენებს რუსეთის საფინანსო და საერთაშორისო მდგომარეობასო.

ბირჟა ხომ ბარომეტრია პოლიტიკურ მდგომარეობისა და ამ ხმების გავრცელებისათანავე რუსეთის ქაღალდების ფასი ბერლინში შესამჩნევად დაეცა ($1^{1}/_{2}$ %). პარიზში დიდი მღელვარებაა ბირჟაზე, სცდილობენ თავიდან მოიშორონ რუსული ქაღალდები, მაგრამ მყიდველი აღარ არის. პეტერბურგსა და მოსკოვში რენტა 72-მდე ჩამოვიდა. არავითარი ეჭვი არ არისო, ამბობს „რ. ვედ."-ი, რომ სათათბიროს დათხოვნა ეხლა უთუოდ გამოიწვევს ფინანსიურ გაკოტრებას, რაც საშინელება იქნება როგორც ბიუჯეტისა, ისე მთელის ხალხის მეურნეობისათვის.

**ბათუმის ოლქის არჩევნები.** არჩევნების წესიერების გამომძიებელმა განყოფილებამ სათათბიროში განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად კანონიერად არჩეულ იქნენ დეპუტატები სხვა-და-სხვა გუბერნიებში, სხვა-და-სხვანაირი უკანონობა და მთავრობის მოხელეთა მიერ ჩადენილი უწესობანი აღმოაჩინა, რის გამო ზოგიერთ დეპუტატების არჩევნები გაუქმებული იქნება, სხვათა შორის გამოირკვა, რომ საჭიროა სათათბირომ ბათუმის ოლქის არჩევნები დაამტკიცოს, რადგან იქ ერთი ამომრჩეველი არ მიუშვიეს არჩევნებზე, ორმა კანდიდატმა თანასწორი ხმა მიიღო და ამ ერთის გარედ დარჩენილ ამომრჩევლის ხმა გადამწყვეტი იქნებაო.

**ხარჯთ აღრიცხვა.** სახელმწიფო ხარჯთ-

# ფელეტონი

## კლასსობრივი მდგომარეობა თანამედროვე გლეხობისა.

(თარგმანი)

რენტა, მოგება და სამუშაო ხელფასი—აი სამი, ერთი მეორის მოწინააღმდეგე, შემოსავლის ფორმა ანუ სახე განვითარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ამის და მიხედვით ეს საზოგადოება განიყოფება სამ ერთი მეორის მოწინააღმდეგე კლასსად: მემამულეების, კაპიტალისტების და მუშებისა. ცხადია, სხვა და სხვა მოვლენა მეურნეობის ცხოვრებიდან ყოველთვის არ წარმოგვიდგება წმინდა სახით. არის შერეული ფორმებიც; არის ფორმები, რომელიც პირველის შეხედვით გვეჩვენებიან არა იმათ, რაც ნამდვილად არიან. ასეთ ცრუ ფორმებს შეუძლიან შეცდომაში შეიყვანოს ანალიზში გამოუცდელი იდეოლოგი, უმეტესად კი არა გამჭრიახი დოგმატიკოსი.

ცხადია, მაგ., რომ მსხვილი მიწის პატრონი წარმოადგენს შერეულ ფორმას. იღებს რა რენტასაც და კაპიტალისტურ მოგებასაც, იგი ორკეც „მქონებელია", ორკეც „ბურჟუაა". მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ იძულებულნი ხომ არა ვხდებით, რომ ჯერ კიდევ წარმოების საშუალებას არ მოკლებული გლეხი წარმოვიდგინოთ სამკეც „მქონებელად", რომელიც ვითომ იღებს თავის მიწიდან რენტასაც, წმინდა მოგებასაც თავის საკუთარ მეურნეობიდან და სამუშაო ხელფასსაც. იმისი შემოსავალი ხომ ერთი, სხვა და სხვა პირს შორის განუყოფელი შემოსავალია, ის ხომ სამ არსებოვანია: იგი მიწის პატრონიცაა, „ხაზეინიც" და თავის „წარმოების" მუშაც!

ისინი, რომელნიც ამ თვალსაზრისით ზომავენ, იმასაც კი არ იღებენ მხედველობაში, რომ გლეხი ხშირად იტანჯება უმიწობით და უფულობით. როდესაც გლეხი იჯარით იღებს მიწას ან ფულს სესხულობს მევახშისაგან—ამბობენ ისინი—ის (გლ.) სწორედ ისე იქცევა ხოლმე, როგორც მეფაბრიკე, რომელიც იღებს იჯარით მიწას მადნეულობის დასამუშავებლად, ფაბრიკის დასადგმელად და სხ., ან და როდესაც ფულს სესხულობს ბანკირისაგანაო. გლეხის მევახშესთან, მემამულესთან დამოკიდებულება მუშის „ხაზეინთან" დამოკიდებულების ანალოგიური კი არ არის, არამედ კაპიტალისტ-მწარმოებლის მის წარმოებისათვის საჭირო მიწის ან ფულის მეპატრონესთან დამოკიდებულებისაო. ამ ნაირ მოსაზრების გარეგნული ვითომდა სიმართლე აიძულებს ზოგ პირებს გამოჰყონ მშრომელი გლეხობა ინდუსტრიალურ პროლეტარიატისაგან და არა თუ აერთებენ მას ამ უკანასკნელთან უმაღლეს „მუშათა კლასსის" შემეცნებაში, არამედ რიცხავენ მშრომელ გლეხობას „ბურჟუაზიის" რიგში. „ბურჟუა იქნება მსხვილი, საშუალო, წვრილი და უმწვრილესიო", ამბობენ ისინი; „გლეხობა ეკუთნის ორ უკანასკნელ ხარისხს, მაგრამ უწვრილესი ბურჟუაც მაინც ბურჟუააო". ზოგიერთნი თანხმდებიან, იცნონ გლეხობა „ნახევარ-პროლეტარად", მაშასადამე, მეორე მხრივ, ნახევარ-ბურჟუად.

ღირს შესანიშნავია ამასთანავე ის, რომ გლეხობის შესახებ ამ შეხედულების მატარებელნი ყოველთვის მოქმედებენ მარქსიზმის დროშის ქვეშ. მაგრამ ღრმა ეკონომიური ანალიზი „კაპიტალის" ავტორისა ძირს უთხრის მასწავლებლის სახელით მოფიცარ „მოწაფეთა" საბუთებს.

მართლაც, განვიხილოთ: გლეხის მევახშესთან დამოკიდებულება ბურჟუა-კაპიტალისტის ბანკირთან დამოკიდებულების ანალოგიურია თუ არა. ეს სრული უმეცრებაა და მტკიცება რაიმე ამ გვარისა შეუძლიანთ მხოლოდ იმათ, რომელთაც არ ესმით მარქსის მიერ გაწეული ერთი უდიდესი ეკონომიური სამსახური, სახელდობრ, კაპიტალისტურ კრედიტსა და მევახშეობის შორის განსხვავების გამოაშკარავება. როგორც ვიცით, „კაპიტალის" მესამე ტომში მარქსი ამტკიცებს, რომ კაპიტალისტურ კრედიტს და მევახშეობის შორის გარეგან მსგავსების დროს არის განსხვავება არსებითი და განსხვავება არა რაოდენობითი, სარგებლის რაოდენობაზედ დამყარებული, არამედ ვითარებითი, პრინციპიალური. თანამედროვე კრედიტი ჩვენ გვაქვს იქ, სადაც კრედიტის შესახებ მორიგება ხდება ორ კაპიტალისტს შორის; მევახშეობის ხასიათს ის იღებს იქ, სადაც მსესხებელი არის არა კაპიტალისტური მწარმოებელი.

რისგან წარმოსდგება ასეთი განსხვავება? პასუხი ადვილია. როდესაც ერთი კაპიტალისტი სესხულობს მეორე კაპიტალისტისაგან ფულს თავის კაპიტალისტურ წარმოებისათვის, იმ შემთხვევაში ნასესხებ ფულს მოაქვს პირველისათვის უშრომელი, მუქთი შემოსავალი და ის აძლევს ბანკირს, რომელმაც მას ფული ასესხა, ამ შემოსავლის მხოლოდ ნაწილს. ამ ნაირად იმის განკარგულებაში მყოფ სიმდიდრის ჯამს არა აკლდება რა, პირიქით თანდათან ემატება. კრედიტის შემწეობით იმან მიიღო ცოტა თუ ბევრი სიმდიდრე, რომელიც წარმოადგენს ცნობილ ღირებულებას, იმ დროს, როდესაც **არ დაუხარჯავს**, ამისთვის ეკვივალენტი. როდესაც მევახშისაგან ფულს სესხულობს არა კაპიტალისტური მწარმოებელი, მაშინ იგი ნასესხებ კაპიტალისაგან არავითარ კაპიტალისტურ მოგებას არა რჩება და ამიტომ მევახშესთან რაიმეს განაწილება იმას არ შეუძლია. ვალად აღებულ ფულის სარგებელი წარმოადგენს მის მეურნეობის პირდაპირ გამოკლებას, **მინუსს**. კრედიტის შემწეობით ის **იხდის** ამა თუ იმ სიმდიდრის ჯამს და იმავე დროს არავისაგან არავითარ ეკვივალენტს არ იღებს, რის გამოც იმის ქონებას კი არ ემატება, აკლდება.

ამ ნაირად, მოვალე კაპიტალისტი, როგორცა ვთქვით, კრედიტის შემწეობით რაღაცას ღებულობს და იმავე დროს არაფერს არ იხდის, არაფერს ხარჯავს. არა კაპიტალისტური წარმოებელი მოვალე კი—რაღაცას აძლევს, რაღაცას იხდის და არაფერს კი არ იღებს.*) ამით აიხსნება ბურჟუაზიული ქება-დიდება კაპიტალისტურ კრედიტისა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ხალხის წყევლა-კრულვა მევახშეების მიმართ. ამ ნაირად, გარეგან მსგავსებაში იმალება არა თუ მარტო განსხვავება, არამედ სოციალურ ურთიერთობის დამოკიდებულების წინააღმდეგობაც.

ესევე ითქმის მიწის იჯარით აღებაზედაც. როდესაც დამოკიდებულება არსებითად კაპიტალისტურია, დამოკიდებულება მემამულესა და კაპიტალისტ-ფერმერს შორის, იმ შემთხვევაში საიჯარო ფასის რაოდენობა განისაზღვრება დაახლოვებით რენტით. თუ კი იჯარადარი არა კაპიტალისტური მწარმოებელია, იმ შემთხვევაში საიჯარო ფასში შედის სხვა ახალი ელემენტები. რენტა, ამბობს მარქსი „Misère de la Philosophie"-ში—აყენებს მემამულის წინ... მწარმოებელ კაპიტალისტს, რომელსაც მიწიდან სარგებლობა გამოაქვს დაქირავებულ მუშის მეოხებით და მიწის მეპატრონეს აძლევს საიჯარო ფასის სახით საწარმოო ხარჯების (რომელშიაც ურევია დახარჯულ კაპიტალის მოგებაც) მხოლოდ **გადანარჩენს**. ამ ნაირად, ეს ოპერაციაც ბოლოვდება მოიჯარადრის სიმდიდრის **გადიდებით;** იგი აძლევს მემამულეს მხოლოდ ზედმეტ ღირებულების ნაწილს, რისთვისაც არც თითონ უშრომია და არც ხარჯი გაუწევია. სულ სხვა საქმეა, როცა მიწას იღებს იჯარით წვრილი მშრომელი გლეხობა. ის კიდევ ცოტაა, რომ მიწის გადასახადს, რომელიც მას არსაიდან არ უბრუნდება, იხდის გლეხი თავის საკუთარ, ვაჭირვებით შეძენილ ქონებიდან. თითონ გადასახადის რაოდენობა ბევრად აღემატება მიწის რენტას. „რასაც ის იხდის იჯარის სახით არა თუ ხშირად ნთქავს მის მოგების ნაწილს, ე. ი. ნაწილს საკუთარ ზედმეტ ღირებულებისას, რომელზედაც მას, როგორც საწარმოო იარაღის პატრონს, სრული უფლება აქვს, არამედ ნაწილს აგრეთვე რიგიან ხელ-ფასისას, რომლის აღება შეეძლო ამავე შრომის რაოდენობით სხვა პირობებში".*)

ასეთი ცვლილება ხდება თუმცა წვრილ, მაგრამ ვითომდა „სამკეც მქონებელ ბურჟუაში. მცირეოდენ დაკვირვებამდე იგი იდგა ჩვენ წინ როგორც სამბუნებოვანი არსება: რენტის, კაპიტალისტურ მოგების და სამუშაო ხელფასის მესაკუთრე. მაგრამ საჭირო იყო მხოლოდ ხელი მოგვეკიდა მეცნიერულ ანალიზისათვის, რომ ჩვენი „ბურჟუა" წარმომდგარიყო ჩვენ წინ ისეთ მუშად, რომელიც მოკლებულია ნორმალურ სამუშაო ხელფასსაც კი.

მაგრამ ჩვენი ანალიზი კიდევ არ არის გათავებული. ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ ორი ტიპიური მოვლენა მეურნეობის ცხოვრებიდან, რომლებიც ძალიან ახლოს ეხებიან გლეხობას და ვნახეთ, რომ ეს მოვლენები, როდესაც მათში მონაწილეობას გლეხობა იღებს, სრულიად ჰკარგავენ თავიანთ სოციალურ ელფერს შედარებით იმასთან, რასაც წარმოადგენენ ეს მოვლენები მაშინ, როცა მომქმედ პირებად კაპიტალისტები არიან. მსგავსება აქ მარტო გარეგნულია და განსხვავების შემჩნევა არ შეუძლიათ მხოლოდ იმათ, რომელნიც ღრმად არ უკვირდებიან ცხოვრების მოვლენებს და ზეზეურად სჯიან ყველაფერს.

ასეთივე ცვლილება ხდება მშრომელ გლეხობის სხვა ბევრ მეურნეობის ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი რუსეთში.

შვარ. ვეკელიძე.

(შემდეგი იქნება)

*) არა კაპიტალისტური მოვალე ჩვენ იქაც გვყავს, სადაც სესხი იძლევა არა კაპიტალისტურ წარმოებისათვის, არამედ პირად მოსახმარებლად.

*) „კაპიტალი" III ტ. გვ. 516.

ალრიცხვა შეტანილ იქნა სათათბიროში და დაურიგდა დეპუტატებს. მცოდნე პირთა სიტყვით სათათბიროს კომისიამ არა ნაკლებ ორი თვისა უნდა მოანდომოს განხილვას და ფინანსთა სამინისტროდან სხვა-და-სხვა ცნობების შეკრებას.

**ამნისტია.** პეტერბურგში ხმებია გავრცელებული, გლეხები თანაუგრძნობენ ახალ განზრახვას, რომ სათათბიროს დეპუტატ გლეხთაგან შემდგარი დეპუტაცია წარსდგეს ხელმწიფის წინაშე და პოლიტიკურ საქმეების გამო დასჯილთა განთავისუფლება სთხოვოს.

**სამხედრო-საველე სასამართლოები.** მინსკის დეპუტატმა ივანჩენკომ დასწერა თხოვნა ხელმწიფის სახელობაზე სიკვდილის დასჯის შეჩერების შესახებ, სანამ ეს სასჯელი საკანონმდებლო წესით არ მოისპობა. ამ ჟამად ივანჩენკო ამ თხოვნაზე ხელის მომწერლებს აგროვებს. თხოვნის შესახებ იმას უკვე მოლაპარაკება ჰქონია სტოლიპინთან.

**ავტონომისტ-ფედერალისტთა ფრაქცია.** ავტონომისტ-ფედერალისტთა ჯგუფის ცენტრალურმა კომიტეტმა მიანდო ოდესსის დეპუტატს პერგამენტს შეადგინოს ავტონომისტ-ფედერალისტთა საპარლამენტო ფრაქცია იმ სახით, როგორც იგი პირველ სათათბიროში იყო შემდგარი. პერგამენტი ფიქრობს, რომ ამ ფრაქციაში 50-მდე კაცი შევა: ლიტველები, მალოროსები, ესტონელები, თათრები, სომხები, ებრაელები და სხვა. ჯგუფი გამოვა სათათბიროში საადგილ-მამულო საკითხის განხილვის დროს, რათა გამოარკვიოს, რომ ამ საგნის გადასაწყვეტად ადგილობრივ პირობებს უნდა მიექცეს ყურადღება; წამოაყენებს აგრეთვე საკითხს ადგილობრივ თვითმართველობისა და სამოქალაქო თავისუფლების შესახებ. ადგილობრივ სასამართლოების საკითხის განხილვის დროს ავტონომისტთა ჯგუფი მიაქცევს ყურადღებას ეროვნულ ჩვეულებათ და სხვ.

### სახალხო უნივერსიტეტები ევროპასა და ამერიკაში.

(ლექცია ვ. ჩერქეზიშვილისა).

4 მარტს, სახალხო სახლის კოპწია დარბაზში ბ-მა ვ. ჩერქეზიშვილმა წაიკითხა საყურადღებო ლექცია სახალხო უნივერსიტეტების შესახებ განათლებულ ქვეყნებში.

12 საათზედ დარბაზი უკვე გაიჭედა ხალხით. სახ. უნივერსიტეტთა კომიტეტის თავმჯდომარემ დერჟავინმა სთქვა, რომ კომიტეტი ამ დღიდან იწყებს სისტემატიურ კურსების მართვასაო. დრო გამოშვებით გაიმართება ლექციები ისეთს საგნებზე, რომლის შესწავლა-გაცნობასაც თვით ხალხი მოითხოვს. ლექციებს სხვა და სხვა სამეცნიერო საგნებზე კომიტეტი თავის შეხედულებითაც გამართავს. ამისათვის მეცნიერებს მოიწვევს როგორც საუნივერსიტეტო ქალაქებიდან, ისე ადგილობრივ სასწავლებლებიდან. დასასრულ დერჟავინმა სთქვა, დიდის მადლობით უნდა მოვიხსენიოთ ძმანი ზუბალაშვილები, რომელთაც თავიანთის მეცადინეობით და საფასით ააგეს ასეთი ძვირფასი სახლი და შეძლება მოგვცეს სახალხო ლექციების სისტემატიურად გამართვისაო. შემდეგ ბ-ნმა ჩერქეზიშვილმა წარმოსთქვა თავისი ლექცია.

მეტად სასიამოვნო და საყურადღებო ხანა იწყება, დაიწყო ლექტორმა, ტფილისის მშრომელ ხალხის გათვითცნობიერებისა და გამოფხიზლების საქმეში. სახალხო უნივერსიტეტების მომწყობი კომიტეტი დღეიდან იწყებს ლექციების სისტემატიურად მართვას და ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ პირველად მხვდა წილად ახალს საქმეში ხმის ამოღება. კომიტეტი ტფილისის ყველა ეროვნებისაგან არის შემდგარი და იგი თვის მხნე მოქმედებით განამტკიცებს ერებს შორის ერთობასა და სოლიდარობას.

სახალხო უნივერსიტეტი ევროპაში დაჰბადა საფრანგეთის ერის დიდებულმა მოძრაობამ. სახალხო უნივერსიტეტების საქმემ მკვიდრი ნიადაგი მოიპოვა ამ 30 40 წლის წინად ინგლისში. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ იქაურ უნივერსიტეტებში მეტად ძვირად უჯდება ხალხს სწავლა. ახალგაზრდას წელიწადში 2500 მანეთი მაინც უნდა ჰქონოდა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა დაესრულებინა. ამის გამო როგორც კი სახალხო უნივერსიტეტები გაჩნდა, მშრომელი ხალხი დიდის გატაცებითა და ხალისით დაეწაფა სწავლა-განათლებას. მშრომელნი უმთავრესად ზამთრობით მიდიოდნენ სოფლებიდან საუნივერსიტეტო ქალაქებში სასწავლებლად, რადგან ზამთარში უფრო თავისუფალნი იყვნენ. შოტლანდიაში მუშა ხალხი მორჩებოდა თუ არა სარჩოს მოვლას, წაიღებდა თან 60 მანეთს და ქალაქში გადადიოდა სასწავლებლად. სახალხო უნივერსიტეტებში ლექციებს კითხულობდნენ გამოჩენილი პროფესორები და მეცნიერები, როგორც მაგ., ტინდალი, გეკსლი, ლებოკი. ლექციებს კითხულობდნენ მექანიკის, ფიზიკის, ქიმიის და მეცნიერების სხვა დარგების შესახებ. პირველად ეგონათ, რომ ასეთს საგნებზე ლექციები ხალხისთვის მოსაწყენი იქნება და არავინ ივლისო, მაგრამ ეს მოსაზრება არ გამართლდა: ხალხი დიდის ინტერესით დადიოდა.

მესამოცდაათე წლების დამლევს მეცნიერმა ტონდემ მოგზაურობა დაიწყო ინგლისის სხვა და სხვა კუთხეებში. იგი პროპაგანდას ეწეოდა. სახალხო უნივერსიტეტების დაარსების შესახებ, ამასთან ფულსაც ჰკრებდა სახალხო სახლისათვის. რომანისტმა შეზდემ მოწოდებებით და წერილებით მიმართა მცხოვრებთ, გამოეღოთ ფული სახალხო სახლის ასაგებად. მართლაც, მალე ფული მოიკრიბა და მშვენიერი სახალხო სახლი ააგეს ლონდონის მშრომელთა უბანში. სახალხო სახლში იყო თეატრი, სამკითხველო, წიგნთ-საცავი, ლექციების საკითხავი დარბაზი. რა თქმა უნდა, ერთი სახალხო სახლი ვერ დააკმაყოფილებდა იმ ნაწილს ლონდონისას, სადაც 2 მილიონი სცხოვრობს. ამიტომაც, რაკი ხალხში დაიბადა წყურვილი სწავლისა, მალე მოეწყო მრავალი სახალხო კურსი და კლუბი. იქ ამ ჟამად ასეთი დაწესებულება 3000-ზე მეტია.

(დასასრული იქნება)

## ახალი ამბავი

**დაპატიმრებულ მუშათა განთავისუფლება.** იარალოვისა და ალიხანოვის სააქციონერო საზოგადოების 29 მუშა, რომელნიც ამ დღეებში გაფიცვისათვის დააპატიმრეს, უკვე გამოუშვეს.

**სახელოსნოების მუშის მოკვლა.** 5 მარტს, დილის $5^1/_2$ საათზედ, რკინის გზის სახელოსნოების მუშა მიხეილ მერაბიშვილი სახელოსნოებში მიდიოდა. ლოტკის ქუჩაზე წამოეწია ვიღაც კაცი, ორჯელ რევოლვერი ესროლა, იქვე წააქცია და მერე მოჰკურცხლა. ამისი მნახველი მუშები უცნობს გამოედევნენ, დაიჭირეს და პოლიციის მოლოდინში თოკით შეჰკრეს, მაგრამ პოლიციას, როგორც ამბობენ, გაუნთავისუფლებია.

**კიდევ ასოთ-ამწყობთა გაფიცვა.** ბ-ნ ფრანჩესკის გაზეთი „ტიფლისკი ობოზრენიე" არ გამოდის, რადგან ასოთ-ამწყობები გაიფიცნენ.

**ავტონომიის გამო.** როგორც საავენტოს დეპეშა გადმოგვცემს, პეტერბურგში, „ევროპის" სასტუმროში ალმოსავლეთ ციმბირის პოლკის პორუჩიკმა კოზლოვმა ცხარე კამათის დროს, რომელიც პოლიტიკას და კერძოდ კავკასიის ავტონომიას შეეხებოდა, ხმალი იშიშვლა და ქუთაისის მაზრის წინამძღოლს თავ. ნიჟარაძეს ყური ჩამოათალა. თავ. ნიჟარაძემ რევოლვერით უპასუხა: ერთი ტყვია მკერდში მოარტყა, მეორე კისერში. კოზლოვი გრძნობა დაკარგული ნიკოლაევის საავადმყოფოში წაიყვანეს. მისი მდგომარეობა საშიშია. ნიჟარაძე მარიინსკი საავადმყოფოში წაიყვანეს.

**ახალი გაზეთები.** 11 მარტს ტფილისში ბ-ნ გვაზავას რედაქტორობით გამოვა რუსული ყოველ-კვირეული გაზეთი „Грузинская мысль" (ქართული აზრი). გაზეთი ეღირება 5 მანეთად. ამავე მარტში ტფილისში ბ-ნ პ. თედეევის რედაქტორობით გამოვა პირველი ოსური გაზეთი „ნოგ ცარდ" (ახალი ცხოვრება) გაზეთი ეღირება 4 მანეთად. ხელის მომწერლებს პრემიად მიეცემათ ერთ-ერთ ოსს მწერლის ნაწარმოებნი.

**გვთხოვენ დავბეჭდოთ.** „ყაზბეგის ქალთა სკოლის გამგეობა დიდ მადლობას უცხადებს პატივცემულ მ. ჯანაშვილს, რომელმაც შემოსწირა 10 ეგზემპლიარი „ქართული გრამატიკა" და 5 ეგზემპლიარი „საქართველოს ისტორიისა".

**ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს ქართლის სოფელ წვერის მცხოვრები ედიშერ მარანაშვილი, რომელსაც ჰბრალდება მოკვლა ქარელის მედავითნის მელ. ბედიაშვილისა. იგზავნებიან: ვოლოგდის გუბერნიაში ხუთის წლით ნუხელი ესაიკ არუთინოვი და თელაველი მიხეილ ბაბუევი; ეჭვი აქვთ, რომ ამათ მონაწილეობა მიიღეს ლოლაძის მოკვლაში; ვიატკის გუბერნიაში სამის წლით — კურბან-ალი-კალა-ოღლი, რომელსაც რევოლვერი უნახეს. საგ.-გუბერნატოროდან ეტაპით იგზავნება გიორგი აპრაკსოვი. დაკეტეს დუქნები საბურთალოზე: სარიბეგოვისა, სააკოვისა, გოლდავასი, ბოიაძესი, მარტიროსოვისა, ლომთაძესი და ყაზაროვისა; სოფ. წყნეთში ათაბეგოვისა და ასიტოვისა. დუქნის პატრონები ოცდა ხუთ-ხუთი მანეთით დააჯარიმეს.

**მოსწავლეთა დათხოვნა.** ვერის საქალაქო სასწავლებლის მეექვსე კლასიდან სწავლის ფულის შეუტანლობისათვის დაუთხოვნიათ თხუთმეტამდე მოსწავლე. ურიგო არ იქნება, ვინმე ქველმოქმედმა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას. თითო მოსწავლეს თორმეტი მანეთი აქვს შესატანი.

**ლექცია.** კვირას, 10 მარტს, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში ბ-ნი ზაჩინიაევი წაიკითხავს ლექციას ამ სათაურით: „О трудовомъ договорѣ въ эпоху установленія самодержавія на Руси".

**მოკლულის გვამი.** 2 მარტს შუაღამისას პოლიციამ სემენოვის ქუჩაზე ნახა მოკლული კაცის გვამი, რომელსაც 4 ჭრილობა ჰქონდა. მოკლული აღმოჩნდა მე-8 საპოლიციო ნაწილის მცხოვრები გიორგი ჟურავლევი, რომელიც ამ საღამოს სახლიდან გამოსულა და უკან აღარ დაბრუნებულა.

**მოვალეების ძებნა.** კიევის უნივერსიტეტის შეუძლებელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობამ სთხოვა ტფ. ქალაქის გამგეობას, გაუგზავნოს საარჩევნო სიები. ამ სიების საშუალებით საზოგადოებას იმედი აქვს, —მოსძებნოს ვალი იმ პირთა, რომელთაც სტუდენტობის დროს ფული ისესხეს და ეხლა ვალს არ ისტუმრებენ.

მოგვივიდა ახალი რუსული წიგნი „მარგანეცის მრეწველობა ბრაზილიასა და კუნძულ კუბაზე", შედგენილი ინჟინერის გიორგი დეკანოზიშვილის მიერ. ავტორმა მარგანეცის მრეწველთა საბჭოს მინდობილობით 1903 წელს ადგილობრივ შეისწავლა მარგანეცის საქმე ამერიკის ტერიტორიაზე და კუნძულ კუბაზე. წიგნში მრავალი სურათი და ტაბლიცებია სტატისტიკურის ცნობებით. გამოცემულია ხსენებულ საბჭოს მიერ და ღირს მანეთად.

პოლიციამ 3 მარტს ტფილისში დააპატიმრა ერევნის მცხოვრებნი მარქაროვი და სარქისოვი, რომელნიც ანდრია ავაქიანის მკვლელებად (ერევანში) იცნეს.

1 მარტს პოლიციამ დააპატიმრა ვაჟთა მესამე გიმნაზიის მოსწავლე ნიკოლოზ მაკაროვი, რომელსაც ჯიბეში აღმოაჩნდა რევოლვერი. მაკაროვი საკომენდანტოში გაგზავნეს.

პოლიციის მე-5 ნაწილში ოქრომჭედლების ქუჩაზე ნახეს სასიკვდილოდ დაჭრილი მეეტლე თედორე მიშჩევრიევი. დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც იგი გარდაიცვალა.

## ქუთაისის ქრონიკა

გუბერნატორის კანცელარიის მოხელე პავლინეცი დაატუსაღეს. როგორც ისმის, მას ვითომ ბრალსა სდებენ, რომ 15,000 მანეთის ექსპროპრიაციაში მიიღეთ მონაწილეობაო.

სამეურნეო ამხანაგობამ საზღვარგარეთიდან ვამოწერილი 40,000 მეტრი ამერიკული გაზისა მიიღო და ამ დღეებში შეუდგება ვაზის მყნას და რგვას. ს. ნერგე ამხანაგობამ გააკეთა ორ ადგილას—საქარაში და თვით ქუთაისში და შემოდგომაზე ნერგების ყიდვასაც შეუდგება. ამავე ამხანაგობამ გამოიწერა საფრანგეთის ცნობილ ფირმის ვილმორენიდგან ბოსტნის და ბალახის თესლეულობა და ჰყიდის თავის ქუთაისის კანტორაში.

შარშან ენკენისთვის აქეთ დაწესდა გადასახადი ქუთაისში შემოტანილ დაგატანილ საქონელზე იმ პირობით, რომ შემოსული ფული 15,000 მანეთამდის ავიდოდა. ეს გადასახადი უნდა მოსპობილიყო და ეს ფული უნდა მოხმარებოდა რკინის გზის სადგურის გზებისა და ქუჩების შეკეთებას. რადგან მოსალოდნელი რომ 15,000 მანეთი მალე შეგროვდება და ეს ფული გზებისა და ქუჩების შეკეთებას არ ეყოფა, ქალაქის გამგეობას განუზრახავს შუამდგომლობის აღძვრა, რომ როცა შეგროვდება 15,000 მანეთი, კვლავ მისცენ ნება ამ გადასახადის აკრეფისა.

## მუშების ცხოვრება

**თელავი.** ქალაქის თვითმმართველობასთან არჩეულმა კომისიამ, რომელმაც უნდა განსაზღვროს სამუშაო დრო და დუქნების გადებ-დაკეტვის დრო, დაიწყო მოქმედება. ხელოსნების კომისიის წევრთ პირველი კრება 23 თებერვალს ჰქონდათ. დაესწრო 5 ოსტატი, 5 ქარგალი და 4 ქალაქის რწმუნებული. თავმჯდომარედ აირჩიეს გ. როსტომაშვილი, მდივნად გ. ხიზანაშვილი. პირველად კომისიამ გაიცნო მინისტრთა საბჭოს კანონ-პროექტი სამუშაო დროს განსაზღვრის შესახებ. მერე დაიწყეს ბაასი, თუ რამდენი საათი დაეწესებინათ სამუშაო დღედ და რამდენი საათით გაეღოთ დუქნები. ოსტატები მეტს თხოულობდნენ, ქარგლების წარმომადგენლები—ნაკლებს. ამ საკითხს კენჭი უყარეს და 11 ხმით წინააღმდეგ 3-სა გადასწყვდა სამუშაო დღეთ ათი საათი, რომელშიაც შედის დასვენებისათვის 2 საათი. ეს კრება ამ საკითხის გადაწყვეტას მოუნდა. შემდეგი კრება გადაიდო 26 თებერვლისათვის.

ამ საღამოს გამოცხადდა კომისიის ყველა წევრი ერთი მუშის გარდა, სულ 14 კაცი. გარეშე პირნი—ბაზრის ხალხიც—დაესწრნენ, რომელთაც თავმჯდომარემ სათათბირო ხმის უფლება მისცა. 23 თებერვლის სხდომის ოქმი წაიკითხეს და დაამტკიცეს, თუმცა ოსტატები წინააღმდეგნი იყვნენ 10 საათის სამუშაო დღისა, მაგრამ საკითხი წინა კრებაზე უკვე გადაწყვეტილი იყო და ძალაუნებურად ხელი მოაწერეს. საზოგადოდ ადგ-ოსტატები სულ იმას აცხადებდნენ, გავიგოთ, სხვა ქალაქებში როგორ დაადგინეს და ჩვენც ისე მოვიქცეთო, მაგრამ უპასუხეს, იქნება ისინი კიდევ ჩვენ გვეძღოდებიანო.

დაიწყეს საკითხების გარჩევა, უნდა გადაეწყვიტათ მუშაობის დაწყების დრო. ქალაქის ხმოსნები გ. ხიზანაშვილი და ვ. პაატაშვილი თხოულობდნენ, ბაზარი ამქრებად დავყოთ და ისე ვიქონიოთ მსჯელობა, თორემ მჭედლებმა რომ სხვებს მოუცადონ, ზაფხულში შუადღის სიცხე-პაპანაქებაში მოუხდებათ ცეცხლთან მუშაობა (მჭედლების მოსამსახურეთაგან წარმომადგენელი არ იყო კრებაზე) და სხვა და სხვა. ამათ არ დაეთანხმნენ კომისიის დანარჩენი წევრნი. ყველა ამქრების ხელოსნებზე საერთოთ იქონიეს მსჯელობა და გადასწყვიტეს, ზამთარში მუშაობა იწყებოდეს და დუქნები იღებოდეს დილის 7 საათიდან საღამოს 5 საათამდე, ხოლო ზაფხულში 6—4 საათამდე. კვირაძლობით და ათ თორმეტთა დღესასწაულის წინა დღეებში ერთი საათით ადრე უნდა იკეტებოდეს დუქნები. ოსტატებმა წინადადება შეიტანეს, ასეთ დღეებში ქარგლებს გავანთავისუფლებთ ერთის საათით ადრე, მხოლოდ ჩვენ დუქნები ღია გვექნება დრომდე, ან სანაგარიშო გვაქვს ან სხვა საქმეო, მაგრამ ხმის უმეტესობით არ მიიღო ეს წინადადება.

შემდეგ იქონიეს მსჯელობა მეორე მუხლის—სამუშაო დროს მომატების შესახებ, რომლის რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 60 დღეს. დაადგინეს: განსაზღვრულ 10 საათს თითო საათი მოუმატოს სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ამქარში: მაგალ. დერციკებში, ხარაზებში და მებუდკეებში—დიდ-მარხვის ნახევრიდან—აღდგომამდე და მთელი ქრისტეშობისთვე; დურგლები და კალატოზები—თიბათვესა და კათათვეში; მჭედლები და ლითონები—ქრისტეშობისთვის ნახევრიდან იანვრის ნახევრამდე და მთელი მაისი; მეჭკაბეები და ბონდრები—ღვინობისთვესა და გიორგობისთვეში, დაბალი—კათათვესა და მარიამობისთვეში. მეპურეებს აეკრძალოთ დამე მუშაობა, უნდა იმუშაონ 15 საათზე არა დღისით. მხოლოდ მუშები ორ-წე მოცვალონ, ე. ი. იმუშაონ [illegible]

ამას გარდა კომისიამ [illegible] ლოსანთა შეკრებები, რომ [illegible] არ აღემატებოდეს, განთ[illegible] 3 საათით [illegible]

კაი, სადაც პატარა ბავშვები [illegible] დის ხელები ცხელ წყალში [illegible] მოწამლულ ჰაერში მუშაობენ; ერთი წარმომადგენელი არავინ არის აქ. კომისიამ უმთავრესი ყურადღება [illegible] ოს, თვალი უნდა [illegible] უძლებელია [illegible] დობრივ მათი სამუშაო, ვნახოთ, მოვიწვიოთ როგორც ქარხნის პატრონი, ისე მომუშავეთა წარმომადგენელნი და მხოლოდ ისე გადავწყვიტოთ მათ შესახებ საქმეო.

ეს წინადადება ერთ ხმად მიიღეს და გადასწყვიტეს, მეორე დღესვე მთელი კომისია წავიდეს ქარხანაში და ადგილობრივ გაიცნოს საქმის ვითარება.

—ლი.

### ავადმყოფ არტისტთა სასარგებლოდ.

ვწუხდით და დიდად თანაგიგრძნობდით, დატანჯულო მოღვაწენო. გულის ფანცქალით ყურს ვუგდებდით თქვენს ავადმყოფობის მიმდინარეობას; ველოდით და ბედმაც გაგვახარა, რომ გადაურჩით შეუბრალებელ სიკვდილს, რითაც გვესალმებოდნენ კეთილი მეგობრები, ნაცნობები და სასიქადულო მუშაკნი ჩვენს საერო საქმისთვის. ამდენი თავში ცემა, ამდენი უდიერება და ვერაგული მოქცევა დროთა ბრუნვისა, გვეგონა, გამოალევიძებდა ჩვენს შეძლებულებს, მაგრამ ამაოდ. სჩანს უკულმართობა, დაუდევრობა თან დაყოლილი ჭირია ჩვენის საზოგადოებისთვის, სჩანს უბედურ ხალხს და მის მოღვაწეებს ქომაგი არავინა ჰყავს. თითონ ხალხმა უნდა შეინახოს და მოუაროს თავის ღირსეულ შვილებს.

ამ გრძნობით გამსჭვალულნი, შეგიძლვნით მცირედს, მაგრამ თანამგრძნობელ გულით — ჩვენ მეტეხის ციხეში ჩამწყვდეული ქართველნი; ნუ შეგვრისხავთ სიმცირეზე, იცოდეთ, რომ ბევრმა უკანასკნელი შემოგწირათ და არა თუ ნასადილოდ, უჩაიოდაც დარჩა. ასეთი შემოწირულება დიდად საყურადღებოა.

იცოცხლეთ ხალხის სანუგეშებლად. გაუმარჯოს მშრომელ ხალხს და მათ უანგარო მოღვაწეებს! ამოფხვრა იმათ, ვინც მეტ ხორცად შერჩენია ტანჯულ ერს, რომელთაც სახელი ჩვენი აქვთ, სახრავი კი ეშმაკებ-ქაჯებსისა.

გიგზავნით 10 მან. 80 კ. გადაეცით ნახევარი ვალ. გუნიას, მეორე ნახევარი კი კარგარეთელს. **ქართველი ტუსაღები.**

მე პატარა ქალი ვარ, ამოვიკითხე გაზეთ „ისარ"-ში ი. ნაკაშიძის წერილი ია კარგარეთლის შესახებ. მე მქონდა ერთი მანეთი, რომელიც ბიძამ მაჩუქა, და რომლითაც ვოცნებობდი ბევრ რასმეს. მაგრამ ია კარგარეთლის მდგომარეობამ ისე შემაწუხა, რომ გადავწყვიტე, ყველაფრისათვის თავი მიმენებებინა და თუმცა მცირეა, მის მოსარჩენად შემეწირა.

**მარო რონცომაშვილი.**

**რედაქციისაგან.** ამას გარდა რედაქციამ ი. კარგარეთლის სასარგებლოდ ექვთაყაიშვილისაგან მიიღო სამი მანეთი. სულ დღემდე რედაქციამ ავადმყოფ გუნიასა და კარგარეთლის სასარგებლოდ მიიღო 25 მან. 50 კაპ.

## პროვინციის ცხოვრება

**ქ. თელავი.** 19 თებერვალს, გლეხთა განთავისუფლების დღეს, თელავის სასწავლებელთ თავის დღეში არ უუქმნიათ. წელსკი არც ერთ სასწავლებელში სწავლა არ იყო და მოსწავლენი გაანთავისუფლეს.

20 თებერვალი, სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დღე, სამოქალაქო და ქალთა წმ. ნინოს სასწავლებელთა უფროს კლასის მოსწავლეთ უნდოდათ აღენიშნათ მით, რომ მეცადინეობა არა ყოფილიყო, მაგრამ ვერ მოახერხეს. სამოქალაქო სასწავლებლის უფროს კლასის მოსწავლენი არ წავიდნენ, მასწავლებლებმა უშლიდნენ, მაგრამ დანარჩენნი მასწავლებლებს და სწავლა შეჰქონდათ. სამაზვე- [illegible] მასწავლებელთა [illegible]

იუქმეს სათათბიროს გახსნის დღე, რომელსაც ასე მოუთმენლად მოელოდნენ თელაველნი, სადამ-სადამოებით მოუთმენლად კითხულობენ გაზეთებს და მეორე სათათბიროს ასე დუნი მოქმედება არ მოსწონთ.

20 თებერვალს თელავში აღმოაჩინეს არალეგალური სტამბა. დაიჭირეს ყველა სახლში მყოფი, ერთი ზეინკალი, იმისი და და სიძე მებულკე, რომელთაც ჯვარი ამ ცოტა ხანში დაეწერათ და ძმასთან ეცხოვრათ, და ზეინკლის ბიძა—ბებერი მეზურნე. ყველანი თელავის ციხეში დაამწყვდიეს.

თელავში სამარხი კასსები ისე ვრცელდება, როგორც გაზაფხულზე დამპალ ხეზე სოკო. არსებობდა ორი კასსა. მესამე ამ ცოტა ხანში დაარსდა. მსურველნი კი ძალიან ბევრნი არიან, ნამეტნავად მოხუცებულები. წესდების ძალით მხოლოდ 55 წლამდე იღებენ წევრებად არც ესენი დაუტოვებია გულნაალულნი ბ ნ როსტომაშვილს და, როგორც გავიგეთ, დაუარსებია მოხუცთათვის სამ აბაზიანი სამარხი კასსა. ყველასა სწერენ, ვინც უნდა იყოს.

ბაზრის ხალხი ბევრს ლაპარაკობს იმ კომიტეტზე, რომელიც შემდგარა ქალაქის გამგეობასთან სავაჭრო და სამუშაოდ დუქნების გაღებ-დაკეტვის დროს განსაზღვრისათვის. ამ კომიტეტს სამუშაო დღე 10 საათით დაუწესებია. ეს აღებს ძალიანა სწყინთ და არა სიანხმდებიან, როგორ იქნება, წინად 16 18 საათს ვაჭრობდით და ეხლა გვინახევრებენ, განა ამასაც შევესწარითო! წინად კვირაობით მთელი ბაზარი დაკეტილი იყო ხოლმე და ნოქარ-ქარგალნი თავისუფლდებოდნენ, ეხლა-კი რაც პოლიციას გამოუცხადებია კვირაუქმეობით 4 საათი შეგიძლიანთ ივაჭროთო, კვირაობითაც აღებენ და მით კიდევ თავიანთებურად აღებენ.

თელავის ერთი წრე ღვინის ვაჭრობის საზოგადოებას აარსებს, პაი კდირსება 10 მან. 2 მან. წევრად ჩაწერვის დროს იხდიან, დანარჩენს—როცა წესდებას დაამტკიცებენ და საზოგადოება მოქმედებას დაიწყებს.

თელავში ამ ბოლო დროს ბევრი სხვა და სხვა საზოგადოება არსდება, ხოლო გაიტანს თუ არა ბოლოს, ამასაც მალე ვნახავთ.

## წერილი სპარსეთიდან

**„შახსეი-ვახსეის“ დღესასწაულობა.**

(დასასრული *)

რადგან ეს დღესასწაული არის მოგონება მაჰმადიანთა წმინდანების უსეინის და ალის და მათ მომხრეთა დამარცხებისა მტრებისაგან, მათისა და მათი ცოლ-შვილის დატყვევებისა, უსეინისა და ალის წამებისა და სხვა ტყვეების გაყიდვისა, ამიტომ მთელი ეს ამბავი დაწვრილებით იმეორება 10 დღის განმავლობაში. პროცესიაში 4—5 წლის ბავშვებიც ურევიან სხვა და სხვა სახით: ზოგი მორთულ ცხენზედა ზის და იქვე უნაგირზედ მტრედია დაბმული და პროცესიას წინ მიუძღვის, ზოგი მორთულია და ფეხით მიუძღვის, ზოგს თეთრი გულსაფარი აქვს და ისიც დაჭრილი, მისი სისხლით დასვრილია გულსაფარი. 8 და 9 თებერვალს დასები ატარებდნენ გადაკამარებულ და გადაფარებულ ტახტრევანს, რომელშიაც იჯდა ჭირისუფალი ქალი, ტახტრევანს წინ ატარებდნენ კუბოს, რომლიდანაც მოჩანდა კაცის ფეხები

თვითეულ დღეს პროცესიის საყურებლად მრავალი ხალხი იკრიბებოდა ქუჩებსა და ბაზარში, სადაც უნდა გაევლოთ. მაყურებელთა შორის მრავალი თათრის მანდილოსნობა იყო.

უკანასკნელ დღეს ბაზარი სრულებით დაკეტილი იყო. არაფერი არ იყიდებოდა, არც პური, არც ხორცი. ქრისტიანებსაც დაკეტილი ჰქონდათ სავაჭრო და სახელოსნოები. ყველა დაწესებულება უქმობდა ამ დღეს. 11 და 12 თებერვალსაც უქმობდნენ, სნოვაგის გამყიდველების გარდა, ყველა მოვაჭრენი.

ყოველ დღეს პროცესია იწვევდა მაყურებელთა შორის ტირილს, განსაკუთრებით გულ ამოსკვნით ტიროდნენ მანდილოსნნი. 10 თებერვალს-კი საერთო ტ[illegible]

[illegible]

რომ მონაწილეთა დიდი უმრავლესობა გულწრფელად და თავგამეტებით დამონებულია სარწმუნოებრივ გრძნობისაგან. მართალია, ერევიან მონაწილენი, რომელნიც მარტო საჩვენებლად ასრულებენ და არც იზიანებენ თავს, მაგრამ ეს ხომ შედეგია მათის ასპარეზზედ გამოწვევისა.

მონაწილენი სამ ჯგუფად იყოფებიან: 1. მონაწილეობენ მშობელთა ანდერძის გამო. მაჰმადიანთ ჩვეულებად აქვთ სიკვდილის წინ უანდერძონ შვილებს, რომ უეჭველად მიიღონ უწყებული მონაწილეობა, ე. ი. ან იგოს ჯაჭვით მცემლად, ან კიდევ სხვა. ეს ანდერძი მყლავნდება სიცოცხლეშივე. 2. მონაწილეობენ საკუთარის აღთქმის გამო. 3. მონაწილეობენ დაქირავებით. დაქირავებულნი არიან მდიდრები, რომელნიც ან თავიანთ მშობლების ანდერძის შესასრულებლად ქირაობენ თავიანთ მაგივრად ერთს და ხან მთელ დასს აღგენენ, ან ხალხის გულის მოსაგებად ქირაობენ. უკანასკნელნი უფრო მეტნი არიან. მონაწილეობა ითვლება კეთილ საქმედ, დიდ სასულიერო მოღვაწეობად, რისთვისაც ღმერთი „აღხოცავს ცოდვითა და უსჯულოებათა მისთა“. დაქირავების გარდა მდიდრები შარბათით და ჩაით უმასპინძლდებიან მონაწილეთ. მასპინძლობა იწყება პირველსავე დღიდან და 11 და 12 კიდევ გრძელდება. 12—ს შარბათისა და ჩაის შემდეგ სხვა და სხვა წარჩინებულ პირთა ოჯახებში, ერთხელ კიდევ გაიარეს შეერთებულმა დასებმა ბაზარზედ ჯაჭვისა და მუშტის ცემით და ამით დაათავეს.

ევროპიელნი და მოწინავე თათრები ზიზღით იხსენიებენ ამ გზით სარწმუნოებრივ გრძნობათა გამოხატულებას, ცრუმორწმუნოებას, ველურობას, ფანატიკობას, ზიზღობას და, ვინ იცის, რას არ ეძახიან, მაგრამ წარმოიდგინეთ მათი ვერაგობა, თვითვე უწყობენ ხელს: კონსულები, მოწინავე თათრები და სომხები პროცესიაში მონაწილეთ დიდის პატივისცემით უხვდებიან, შარბათით და ჩაით უმასპინძლდებიან! მე ევროპიელ „კულტუროსანთა“ შესახებ აღარას ვიტყვი, რადგან მთელი მათი ენერგია იმაზედ იხარჯება, რომ ხალხი შეუგნებელი და თვითცნობიერებას მოკლებული იყოს მათ-და საკრეჭად. ხოლო არ შეიძლება თავრიზედ ვითომდ მოწინავე თათრებსა და სომხებს არ უსაყვედუროს კაცმა იმ ცბიერებისა და ფარისევლობისათვის, რომლებსაც ისინი იჩენენ ამ დღესასწაულობაში და შეუგნებელ ხალხს ხელს უმართავენ და აქეზებენ. ამ ცრუმორწმუნოებას მაჰმადიანთა სხვა და სხვა სექტანტებმა, განსაკუთრებით ბაგდასტებმა, სახელი და გავლენა გაუტეხეს, მაგრამ ევროპიელთა წარმომადგენლების და წარჩინებულ სომეხ-თათართა წყალობით ისევ აღორძინებულა. ნუ დაივიწყებს მკითხველი, რომ გლახაკთა და სნეულთა, რომელნიც თავრიზში ათი ათასობით ითვლებიან, სასარგებლოდ ამათ არა გაუკეთებიათ რა, თუმცა მუსულმანებს ყურანი ას ათჯერ ავალებს მათ შეწყალებას და მათვის ზრუნველობას. არც სომხებისაგან აიხსნება სარწმუნოებრივის თანაგრძნობით მასპინძლობა და მეჩეთების შენება, რადგან ერთ ამისთანა ცბიერ და ფარისეველ მასპინძელზედ უტყუარი ფაქტები მაქვს ხელში. დავასახელებ ერთს ფაქტს დასამტკიცებლად, რომ მათ მოქმედებაში სარწმუნოებრივი არა არის რა და მეცადინეობაა მხოლოდ ხალხის შეუგნებლობის და მის ცრუმორწმუნეობის განსამტკიცებლად. შარშან სომეხმა იედია მანუკიანმა იზარალა გზის კეთებაში და დააკლდა მუშის ფული 36 მან. ბევრს ეცადა ამ ფულის შოვნისათვის, რომ თათარი მუშები მოეშორებინა, მაგრამ ვერას გახდა. ბოლოს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა მიმართა ერთს წარჩინებულ სომეხს, უამბო თავისი გაჭირვება და დაატანა, თუ შენც არ მიშველი, უნდა მუშტაიდს მივმართო ამ ფულისათვის და მაჰმადიანობა მივიღო, უღალატო მამა-პაპათა სარწმუნოებას, თუ არ მინდა მოვეკვლევინო თათარ მუშებსაო. ამისთანა ლაპარაკმა ვერ მოულბო გული მდიდარს და [illegible] ედია მაშუკიანი მართლა გაჰმადიანდა. ახ[illegible] [illegible]ამადიანია. სამი შვილი ჰყავს. აი, ამ [illegible] სომეხმა, რომელმაც 36 [illegible] იმეტა, წელს დასის დაქირა[illegible] [illegible]პინძლობაზედ 400 მან. და[illegible] თვითონვე სქთვა ამაყად!.. [illegible]ბის კაპიტალი ვინ [illegible]

ხელს უწყობენ და აქეზებენ ხალხის ცრუმორწმუნეობას! საჭირო ხმა აიმაღლოს თათრულ ენაზე პრესამ და დაანახოს ხალხს მათი ცბიერება, ფარისევლობა, სიველაგე და გამყიდველობა; აუხსნას ხალხს, ერთნიც და მეორენიც რამდენად სარგებლობენ ხალხის შეუგნებლობით, როგორ და საიდან იბრუნებენ ერთი ათასად იმ დანახარჯს, რომელიც ხალხის თვალების ასახვევად იხმარება!

თავრიზში გაფიცვას მოელიან—მაჰი არ ასრულებს დანაპირებსაო. **აჯი-მირზა.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 მარტი.

**პეტერბურგი.** «რუსკოე ბოგატსტვო»-ს თანამშრომლის ივანჩინი-პისარევის სტამბა დახურეს. წინათ ეს სტამბა «სინ ოტეჩესტვა»-ს გამომცემელს იურიცინს ეკუთნოდა. დახურვის მიზეზი გაზეთის «ბლაგონაროდა»-ს პირველი ნომრის დაბეჭდვაა. გაზეთი ს-რევოლიუციონერ დეპუტატის ზიმინის რედაქტორობით გამოვიდა. გაზეთი დაიჭირეს. ს-დემოკრატების «მენშევიკების» ფრაქციის გაზეთი «რუსკაია ჟიზნი» დახურეს.

**დრეზდენი.** არჩევნების დროს აგიტაციის გულისათვის პასუხის გებაში მიცემული რუსი სტუდენტები გაამართლეს. განაჩენის წაკითხვის შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარემ სტუდენტები გააფრთხილა: «რუსი სტუდენტები უცხო ქვეყანაში იმყოფებიან და ეს ქვეყანა თავის დღეში არ დათანხმდება, რომ იმის საზღვრებ შორის რუსეთის საწინააღმდეგო სარევოლიუციო მოძრაობა მომზადდეს, რაკი გერმანია რუსეთის მეგობარია.

**პეტერბურგი.** პოდპოლკოვნიკი რადზეევსკი თეატრიდან შინ ბრუნდებოდა; დიდ ოხტენსკი პროსპექტზე ვიღაც უცნობმა მძიმედ დასჭრა იგი.

**თეირანი.** მილიციის ყოველ დღე ვარჯიშობა მშვიდობიან ხალხს შიშსა გვრიდა, ამიტომ შაჰის ბრძანებით ვარჯიშობა შეწყვიტეს. ისპაჰანიდან მოსულმა დეპუტაციამ განაცხადა; მეჯლისიდან არ გავალთ, სანამ ისპაჰანის გუბერნატორს არ გადააყენებთო. საქმის გამოსაძიებლად ისპაჰანში მოხელე გაგზავნეს.

**ხარკოვი.** საბეითლო ინსტიტუტის საბჭომ დაამოწმა, რომ ყუმბარის აფეთქების დროს მოკლული უცნობი ახალ გაზდა ბეითლის ფორმაში გაწყობილი ინსტიტუტში არ სწავლობდა. მისი ვინაობა ინსტიტუტის საბჭომ არ იცის.

**ფორბახი.** კლეინროსელნის მაღაროებში გაზმა იფეთქა. 65 კაცი მოკლულია, 12 დაჭრილი, 3 გადარჩა.

**ქრაპიზონი** გარნიზონის ოფიცერმა კომენდანტი შამდი-ფაშა მოჰკლა. უკანასკნელმა ჯამაგირი დაუჭირა.

**პეტერბურგი.** (ოფიციალური) 1907 წლის 17 თებერვალს შინაგან საქმეთა მინისტრმა გუბერნატორებს შემდეგი მიწერილობა გაუგზავნია: «შინაგ. საქმეთა სამინისტროს ცნობები მოსდის, რომ არჩევნების შემდეგ გლეხები ალაგ-ალაგ არეულობას ახდენენ, იჩენენ ლტოლვილებას, ძალით მიისაკუთრონ მეზობელ მემამულეების და მდიდარ გლეხების ქონება. ფიქრადაც გასატარებელი არაა, რომ 1905-1906 წლების უწესოება განმეორდეს! ეჭვი არა მაქვს, თუ ადგილობრივი მთავრობა თავის დროზე შესაფერ ზომებს მიიღებს აგიტატორების და საზოგადო მყუდროების დამარღვეველთა წინააღმდეგ, ვინც გინდა იყვნენ ისინი, საქმე არ გამწვავდება და არეულობის თავიდან აცილება შეიძლება. ამიტომ ვალად ვრაცხ, მივაქციო თქვენი ყურადღება, რომ ჯეროვანი განკარგულება მოახდინოთ თქვენ ხელ ქვეითებ შორის. თუ ვინიცობაა რამე არეულობა მოხდა სადმე, ადგილობრივი მოხელენი მოვალენი არიან შესაფერი ზომები მიიღონ და დაუყონებლივ ჩააქრონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალი მათ დაედებათ და შესაფერი სასჯელი მიენიჭება (სამსახურიდან დათხოვნილნი იქნებიან, პასუხის გებაშიაც მიეცემიან.) გაუწყებთ რა ამას, დარწმუნებული ვარ, გაითვალისწინებთ თქვენდაში მონდობილ საქმის სიდიადეს და მთლად თქვენ ენერგიას და გამოცდილებას მოანდომებთ, რომ დაიცვათ მყუდროება თქვენდ მი რწმუნებულ გუბერნიაში: ამასთანავე პატივი მაქვს გაგაფრთხილოთ, რომ გლეხებ შორის ყოველნაირი არეულობის პასუხის მგებელნი თავ-დაპირველად გუბერნატორები იქმნებიან».

**ჰელსინგფორსი.** აბოში სვეაბორგის აჯანყების მონაწილე წითელ-გვარდიელების საქმის გარჩევა დაიწყეს. 78 კაცი აბოს სატუსაღოში გადაიყვანეს.

**სარატოვი.** კუზნეცკის მაზრაში, ბალაშოვის მამულში, ტყის მჩეხავებს და დარაჯებს შორის შეტაკება მოხდა. რამდენიმე კაცი დაჭრილია.

**ვარშავა.** ინჟინერ პოდკოვინსკის სახლში პოლონელ სოციალისტების სარევოლიუციო ფრაქციის გამოცემათა საწყობი

სხვა და სხვა ადგილებში რიგდებოდა აღკძალული ლიტერატურა.

**საარლუი.** მატილდის მაღაროში ვაგონეტკის ბაწარი გაწყდა და 22 მუშა დაიღუპა. მინისტრის განკარგულებით იმ ადგილას კომისარი წავიდა.

**მოსკოვი.** ნაფიცი ვექილის ჟდანოვის საქმე სამხედრო სასამართლოს გარდასცეს. გამომძიებელმა 25,000 მანეთის გირაოთი ჟდანოვის განთავისუფლებაზე უარი განაცხადა.

**ხარკოვი.** 28 თებერვალს დაჭრილი პოლიციელი კერბა ფეხის მოჭრის შემდეგ გარდაიცვალა. პოლიციელის ფლოროვის მდგომარეობა უიმედოა. სამ მოკლულ ტერრორისტის გაჭრამ აღმოაჩინა, რომ ერთი პოლიციელს მოეკლა, ერთს თავი მოეკლა და ერთიც ამხანაგებს მოეკლათ პოლიციასთან შეტაკების დროს. დამე უნივერსიტეტს კაზაკები და პოლიცია შემოერტყა. სამ აუდიტორიაში კრება იყო. დაპატიმრებულია ასამდე გარეშე პირი.

**ტოკიო.** (ვლადივოსტოკამდე ფოსტით) შინაგან საქმეთა სამინისტრომ იაპონიის სოციალისტების საზოგადოება დაიხურა, როგორც მყუდროებისათვის მავნებელი. მიუხედავად ამისა სოციალისტებმა გადასწყვიტეს: გაავრცელონ თავიანთი დოქტრინა ლექციების კითხვით.

იაპონელების ოთხი სანაოსნო საზოგადოება მდ. ინც-ზიზე შეერთდა. ახლა ისინი უცხოელებს სასტიკ მეტოქეობას გაუწევენ.

გაზეთი «ჟიჟი შიმპო»-მ არსებობის 25 წლის თავზე ნომერი გამოუშვა, რომელშიაც 224 გვერდია.

ამერიკიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ფილიპინების კუნძულები 308 მილიონ დოლარადაა დაფასებული.

**ვლადიმირი.** სუზდალის მაზრის გავრიილოვის პოსადში 500 მთვრალი გლეხი ტრაქტირს დაეცა და აიკლო და შემდეგ საარყე დუქანის ასაკლებადაც გაემართა. როცა სიტყვამ არ გასჭრა, დარაჯებმა სროლა ასტეხეს. ათი კაცი დაიჭრა. ამათგან 8 უკვე გარდაიცვალა. წესრიგი აღდგენილია.

**ჩერკასი.** სოფ. სლიპოვკაში მღვდელი გაძარცვეს. მისი ქალიშვილი გააუპატიურეს. მღვდელს დამბლა მოუვიდა და გარდაიცვალა. მისი ცოლი ჭკუიდან შეიშალა.

**ნანცი.** გაფიცულებს და ჟანდარმებს შორის შეტაკება მოხდა. მოკლულია ერთი, დაჭრილია 30.

რედაქტორ-გამომცემელი

**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# განცხადებანი

კიროვ[illegible] სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დილით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანაზოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტიზიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გმელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შპერზინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**სადამოთი:**

**გ. ი. გმელიშვილი** 6½—7½.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

(150—ხალ.—36)

საზოგადოების

## საყურადღებოდ

**ვისაც უნდა** დააწერინოს არზა, თხოვნა, საჩივარი სასამართლოებში მისართმევად, შვილების სახელმწიფო ხარჯზე სკოლებში მისაღებად; **ვისაც უნდა** სალდათობის საქმეზედ თხოვნის შედგენა; **ვისაც უნდა** საჩივარი ან თხოვნა მისცეს ნამესტნიკს, გუბერნატორს; **ვისაც უნდა** თხოვნა მიართვას ხელმწიფეს ანუ მინისტრებს, **ვისაც უნდა გაეყარონ მეუღლეს—იმათ უნდა მიმართონ** ავლაბარში, ნუხისა და შემახის ქუჩების კუთხეში, საკუთარ სახლში **თ. ზ. ნახიძეს.**

მთხოვნელები მიიღებიან დილით 10—12 საათამდე და სალამოთი 5—7 საათამდე.

**ხელფასი ზომიერია.** (3—უ.—3)

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა პროფესიონალური საზოგადოების გამგეობა აჰით აცხადებს, რომ მან გახსნა

# კანტორა

სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურთა ქარვასლაში მეორე სართულზე, № 119, სადაც მსურველნი შეუძლიან ჩაეწერონ საზოგადოების წევრათ. აქვე უნდა ჩაეწერონ უადგილო მუშები ამ ხელობისა.

კანტორა ღია არის დილის 9 საათიდან სალამოს 7 საათამდე.

# კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრეიხერის

**გადვიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან სალამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნური კბილის ჩაყენება 3 მანეთი თითო კბილის სალოსტაქრო ოპერაციებსაც აკეთებენ. (100—81)



კომისიონერი მიწათ-მოქმედების და ახლომწიფო ქონებათა სამინისტროსი

## მ. ე. ფრიდონოვი

**ტფილისი, სერგიევის ქუჩა,** № 11.

აწვდის მსურველთ ვენახისა და ბაღების სამკურნალო წამლებს:

შაბიამანს ინგლისის საუკეთესო მარკისას; გოგირდს გაუმჯობესებულს საკუთარ საშუალებით; შესასხურებელს **ვერმორელის** სისტემისას; „ტოროპილებს“, საბერველებს, აგრეთვე ყოველგვარ იარაღს საბაღო და სასარდაფო მეურნეობისათვის, მაგალითად: ტუმბოებს, ფილტრებს, საქაჯავს, სეკატორებს, დანებს და სხვას.

შეიძლება დაკვეთა ხილის ხეებისა საკუთარ სანერგედან სადგურ **„ხურაზთან“**. ქართული კატალოგები მსურველთ სახლში ევზავნება. განყოფილება **ქუთაისში „კოლხიდასთან“**. (50—751—22

# ნამდვილი კახური ღვინო

ТОВАРИЩЕСТВО КАХЕТИНСКИХЪ ВИНОГРАДАРЕЙ

„Дзмоба“

„ძმობა“

ამხანაგობა

въ ТИФЛИСЪ

Головинскій проспектъ и Дворцовой

Телефонъ №1036.

[illegible]

სასურველი მოსახლეობის [illegible]

**ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი.** (100—31)